CHESS CLUB NONA

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N8
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი **01 ივლისი 2022 წელი**

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის `ს1" ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ **ა(ა)იპ ქ. ბათუმის საჭადრაკო კლუბი ,,ნონა" დირექტორი გიორგი ჭანტურია**, (შემდგომში `შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **შპს „ივიჯი"-ს დირექტორის ედნარ გელაძის სახით** (შემდგომში `მიმწოდებელი") ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ფლეშმეხსიერების ბარათი და ყურსასმელი (შემდგომში – საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და N1 დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

1.2. საქონლის სახეობა, რაოდენობა, და სხვა სპეციფიკაცია მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 160 (ასსამოცი) ლარს და 00 თეთრს.

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ,,მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურეობს ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შემსყიდველის მხრიდან, საქონლის ან მომსახურეობის მიღება–ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენელია ხელშეკრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურეობის მიწოდების ადგილია: ქ. ბათუმი, გორგილაძის ქ. N91.

5.2. მომსახურეობის მიწოდება განხორციელდება 2022 წლის 01 ივლისიდან 2022 წლის 30 ივლისანდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორი გიორგი ჭანტურია.

7.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.2. პირგასამტეხლოს გადახა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულიეა 9.4 პუნქტით გათვალიწსინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღის ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონუილი საშუალების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

9.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართო სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია თავში მარჯვენა კუთხეში მითითებული თარიღიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი ,,ნონა''	შპს "ივიჯი"
მისამართი: ქ. ბათუმი ლ. ასათიანის 25	მის. ქ. ბათუმიშ. ჭავჭავაძის ქ. N66
ს. კოდი:445426138	სს „თიბისი ბანკი"
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი:TBCBGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ანგ.ნომერი: : GE23TB1063536020146701
სახაზინო კოდი: **740797519**	ს.კოდი: 245439271
დირექტორი: გიორგი ჭანტურია	**დირექტორი: ედნარ გელაძე**
.....	EVG Ltd ..... Digitally signed by EVG Ltd Date: 2022.07.01 16:02:48 +04'00'
შემსყიდველი	მიმწოდებელი

						დანართი №1
N	დასახელება	კლასიფიკაციის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	რაოდენობა	ფასი	ერთეულის ფასი
1	410089 USB ფლეშ-მეხსიერება Kingston 64GB DataTraveler Micro Flash Drive USB 3.1(DTMC3/64GB)	30234600	**ცალი**	2	58,00	116,00
2	407421 ყურსასმენი Trust 22450-02 GXT 307 Ravu Gaming Headset	32342200	**ცალი**	1	44,00	44,00
ჯამი						160,00
დირექტორი: გიორგი ჭანტურია				დირექტორი: ედნარ გელაძე		

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 30.06.2022 წელი

ხელწერით ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ა(ა)იპ ქ. ბათუმის **„საჭადრაკო კლუბი ნონა“**-ს მიერ შპს “ივიჯი“-თან განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვაში, არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ა(ა)იპ ქ.ბათუმის „საჭადრაკო კლუბი ნონა“

დირექტორი: გიორგი ჭანტურია

.....